# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა

და შპს ,,საბატა“-ს

ქ. ბათუმი 16/07/2019

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის ასოც. პროფესორის **მერაბ ხალვაშის** მიერ და მეორე მხრივ **შპს ,,საბატა“** ს/კ245550185 (შემდეგში, **,,საბატა“**), წარმოდგენილი მისი დირექტორის **მალხაზ თავდგირიძის** მიერ, (შემდეგში ,,მხარეები“) თანხმდებიან პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

## მხარეთა უფლება–მოვალეობები

1. **,,საბატა“** უზრუნველყოფს პროფესიული პროგრამების **,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“**-ს და **,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“**-ს სტუდენტთა პრაქტიკის გავლას და პროგრამით გათვალისწინებული სხვა საკითხების შესწავლას პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის ფარგლებში.
2. მხარეები:

ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);

ბ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;

გ) უზრუნველყოფენ პროფესიული პროგრამების **,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“**-ს და **,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“**-ს ფარგლებში, პრაქტიკის დროს სტუდენტების მოდულით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობით და სასწავლო რესურსებით სარგებლობას.

## მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე.

---------------------------- ----------------------------

მერაბ ხალვაში
რექტორი
საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35)

მალხაზ თავდგირიძე
დირექტორი
შპს ,,საბატა“
ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ.40